საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 6 21 0000979508

24/09/2021

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივით, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით, 2021 წლის 28 სექტემბერს დაგეგმილია ახალგაზრდებთან (16-დან 29 წლის ჩათვლით) ონლაინ ფორუმის - „ავიცრათ სიცოცხლის გადასარჩენად!“ ჩატარება (ღონისძიების დღის წესრიგი თან ერთვის).

ღონისძიება ემსახურება მონაწილეთა ინფორმირებულობის დონის ამაღლებას COVID19-ის საწინააღმდეგო ვაქცინასთან დაკავშირებით, ასევე ვაქცინაციის თაობაზე ახალგაზრდების დადებითი გადაწყვეტილების დასაბუთების ხელშეწყობას. ფორუმის ფარგლებში მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას თემატურ საკითხებზე, მათ შორის: აცრა და ვაქცინაცია - რატომ არის ეს მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის; როგორ შევარჩიოთ ვაქცინა? როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს ხელი შეუწყონ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლას? ვაქცინა და რეპროდუქციული ჯანმრთელობა. ღონისძიების ფარგლებში სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისგან მონაწილეები მიიღებენ ამომწურავ პასუხებს მათ მიერ დასმულ ყველა თემატურ კითხვაზე.

მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ ზემოხსენებული ღონისძიების შესახებ ცნობის მიწოდება თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის.

ონლაინ ფორუმზე დასწრება თავისუფალია.

ღონისძიებაზე დაიწყება 15:00 საათზე შემდეგ მისამართზე:
ონლაინ პლატფორმა „ზუმის“ ბმული https://undp.zoom.us/j/88600862593
შეხვედრის ID: 886 0086 2593

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

ღონისძიებასთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში, კომიტეტის აპარატიდან საკონტაქტო პირია ანატოლი კორეპანოვი, მობ.: +995 577 17 80 16, ელ.ფოსტა: akorepanov@parliament.ge;

პატივისცემით,

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების
განვითარების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
წერეთელი ნინო